სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №

ქ. წნორი 27.06. 2012 წელი

სსიპ სიღნაღის მუნიციალიტეტისსფ. ხირსის საჯარო სკოლა, დირექტორის მაყვალა ღვედაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") ერთის მხრივ და შპს „ნიუ არქიტექტი", (შემდგომში „მიმწოდებელი") მეორეს მხრივ, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ნიუ არქიტექტი", ვიღებ ვალდებულებას შევასრულო სკოლის შენობის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღიცხვა.

II. ხელშეკრულების ღირებულება

შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში
წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება შეადგენს 80 (ოთხმოცი) ლარს.

III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მომსახურეობა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხორციელდება 27 ივნისიდან 30 ივნისამდე.

V. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებით.

VI. ანგარიშსწორება

6.1 ანაზღაურება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.
6.2 მიმწოდებლის მოთხოვნით ანგარიშსწორება ხდება ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

VII. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1„შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1 საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების

7.3. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
7.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.5. „მიმწოდებელს" უფლება აქვს.
7.5.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

VIII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს ხარისხის ინსპექტირება.
8.2. გამოვლენილი დეფექტისა ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას.

9.1. თუ "მიმწოდებელი" არ ასრულებს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებას „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს „მიმწოდებელს" დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
9.2. ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
9.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს ამ ხელშეკრულების მე-VI მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში წერილობითი ფორმით შეტყობინების საფუძველზე თვის ბოლოს „შემსყიდველს" დაარიცხოს ჯარიმა გადაუხდელი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

XI დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 1 (ერთი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმებას მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XII სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა (საბანკო) რეკვიზიტები:

ხირსის საჯარო სკოლ
ს/კ №240412843
სახალხო ბანკის სიღნაღის ფილიალი

ბ.ა

---------- მ. ღვედაშვილი

შპს „ნიუ არქიტექტი"
საიდ.კოდი: 440388037
თიბისი ბანკის"
სიღნაღის ფილიალი
ა/ა GE11TB3895236020100004

ბ.ა

---------- გ. ჭაბაშვილი